

Image not found or type unknown

# საია აცხადებს კონკურსს პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის შემუშავებელი ჯგუფის წევრებზე

საქართველო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ფუნქციონირებს 1994 წლიდან.

ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებაში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, ადამიანის უფლებების დაცვა დისკრიმინაციის გარეშე და კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის.

ორგანიზაციის მისიაა -ყველასთვის სამართლიანი გარემოს ფორმირება დემოკრატიული მექანიზმების გაუმჯობესების გზით.

თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური პროცესების ხელშეწყობი საგრანტო პროგრამაცხადდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)-ის მიერ დაფინანსებული პროექტის **Democracy and Rule of Law** და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში **საქართველოში** ფარგლებში, რომელსაც ორგანიზაცია 2019 წლიდან ახორციელებს.

პროექტი მიზნად ისახავს თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო-პოლიტიკური პროცესების ადვოკატირებას და მხარდაჭერას. ამის მისაღწევად საიას ინოვაციური იარაღი პოლიტიკური თანასწორობის ინდექსია (Political Equality Index, PEI), რომლის ამოცანა სხვადასხვა,მათ შორის, დაუცველი ჯგუფების საარჩევნო-პოლიტიკური თანასწორობის ხარისხის გაზომვა იქნება. პოლიტიკური თანასწორობის ინდექსი აჩვენებს რამდენად მჭიდრო კავშირია ინსტიტუციურ ჩარჩოს, პოლიტიკურ პროგრამებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოების დაუცველი ჯგუფების საჭიროებებს შორის.

**საია** მიზნად ისახავს პოლიტიკური თანასწორობის საკითხის კვლევისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას,

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დაუცველი ჯგუფების ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაზე წვდომის შესაძლებლობების შესწავლასა და პირველი პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის მომზადებას.

## **პროექტის ვადები:**

მკვლევართა ჯგუფი 3 თვის მანძილზე პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩაატარებს კვლევებს და შეისწავლის დაუცველი ჯგუფების სახელმწიფო ინსტიტუტებში მონაწილეობის, წარმომადგენლობის, სოციალური თანასწორობის და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ასპექტებს.

სამუშაო ფორმატი - დისტანციური.

## **პროგრამის ფარგლებში შეირჩევა შემდეგი დარგის მკვლევარები:**

1. იურისტი;
2. სოციალური ან პოლიტიკური მეცნიერებების ექსპერტი.

**კონკურსის შედეგად შეირჩევა მკვლევართა სამი ჯგუფი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მოცემულ ვაკანსიაზე განცხადების შემოტანა შეუძლია ორი მკვლევარისგან შემდგარ ჯგუფს, სადაც ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს იურისტი.**

## **კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

### **1. საქარო სამართლის იურისტი (ადამიანის უფლებების, პოლიტიკური მეცნიერებების ან/და კონსტიტუციური სამართლის ექსპერტი):**

- უმაღლესი განათლება;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (C1 დონე);
- პროფესიული მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- სასურველია თანასწორობის, პოლიტიკური მეცნიერებების ან/და კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით მუშაობის ან კვლევის გამოცდილება.

### **2. სოციალური ან პოლიტიკური მეცნიერებების ექსპერტი:**

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- უმაღლესი განათლება;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (C1 დონე);
- პროფესიული მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.
- სასურველია თანასწორობის საკითხებზე მუშაობის ან კვლევის გამოცდილება.

## უნარ-ჩვევები

- სამუშაოს ორგანიზების უნარი;
- მაღალი შრომის დისციპლინა;
- შემჭიდროებულ ვადებში სამუშაოს დროულად შესრულების უნარი.

## ანაზღაურება:

თითოეული მკვლევარის ანაზღაურებისთვის, გათვალისწინებულია \$2500 ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, სრული პროგრამის განმავლობაში.

## დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ავტობიოგრაფია/CV;
2. ადამიანის უფლებების, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, ან/და კონსტიტუციური სამართლის სფეროში შემუშავებული და გამოქვეყნებული კვლევის ნიმუში.

## კონკურსის ეტაპები

- პირველ ეტაპზე მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კანდიდატების შერჩევა;
- მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება;

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ორგანიზაცია იტოვებს უფლებას კონკურსანტს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა ან დამატებითი გასაუბრება.

განაცხადის **არასრულად** წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატის აპლიკაცია არ განიხილება!

## პროექტის ვადები

კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნება	5 ოქტომბერი, 2021
კონკურსთან დაკავშირებული შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა	15 ოქტომბერი, 2021
საიას მხრიდან კითხვებზე პასუხის გაცემის ბოლო ვადა	20 ოქტომბერი, 2021
<b>განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა</b>	<b>29 ოქტომბერი, 2021, 18:00 სთ</b>

კონკურსით დაინტერესებულმა პირებმა შეგიძლიათ გამოგზავნოთ მოთხოვნილი ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **[ejokhidze@gyla.ge](mailto:ejokhidze@gyla.ge)**, 2021 წლის 29 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

გთხოვთ, წერილის გამოგზავნისას მიუთითოთ იმ პოზიციის დასახელება, რომელზეც აგზავნით აპლიკაციას.

**დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ [nkruashvili@gyla.ge](mailto:nkruashvili@gyla.ge).**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



????? ????????????, ?????????????? ?? ??????????? ???????????-?????????????  
????????????? ?????????????? ??????????  
????????????? ?????????????? ?????????? ?????????????? ?????????? ??????????????????  
????????????????? ??????????? (USAID).